

უაკ: 341 + 37.07 + 347 + 331 + 331.5 + 347.7 + 346.5

შრომის ბაზარი და სპორტის სპეციალისტის კომპეტენტურობის ზოგიერთი ასპექტი

გიორგი ჭილაძე¹, ეკა გეგეშიძე²

^{1,2}საქართველოს უნივერსიტეტი, NASA-Georgia

ანოტაცია:

სპორტული პროფილის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები შრომის ბაზარზე წარმოადგენენ პროფესიული უნარების, ცოდნის, ჩვევების „გამყიდველებს“. სპეციალისტის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს ინტეგრირებულ მახასიათებელს, მის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს სამართლებრივი ცოდნა, კომპეტენტურობა და სამეწარმეო უნარი. საგანმანათლებლო პროცესში მიზანშეწონილია, გამოვეყნოთ კომპეტენტურობის განვითარების ეტაპები.

მეწარმეობაში მთავარ საყრდენს წარმოადგენს სამეწარმეო კანონმდებლობის ცოდნა და მეწარმის სულისკვეთება (სპირიტი). ეს უკანასკნელი კი ხასიათდება ინოვაციურობით და რისკის გაწევით.

მეწარმეობის სწავლება შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით: 1)ბიზნესის დაწყებით, 2)სერიოზული თამაშებით და სიმულაციებით, 3)მოდელირებაზე დაფუძნებული სწავლებით და 4)გონების ვარჯიშით. ამასთანავე, აღნიშნულ მეთოდებს სჭირდება სამართლებრივი და ეკონომიკური ცოდნის ინსტრუმენტები, ანუ ცნებების გააზრებული ცოდნა. სტუდენტთათვის სამეწარმეო უნარების ჩამოყალიბების დროს გაზიარებული უნდა იქნეს საერთაშორისო პრაქტიკა. კერძოდ, ჯუნიორ ეჩივმენტის გამოცდილება,

სამეწარმეო სამართლის საფუძვლების შესწავლა და მეწარმეობის, როგორც სწავლების მეთოდის გამოყენება და მისი დანერგვა სპორტულ საგანმანათლებლო სტრუქტურებში მოგვეცემს მყისიერ, მნიშვნელოვან შედეგებს, როგორც სპორტული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობის თვალსაზრისით, ისე ახალი ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების განვითარებით.

საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო სამართალი, შრომის ბაზარი, მეწარმეობა, უმაღლესი სპორტული განათლება, სამართლებრივი ცოდნა

კონკურენტუნარიანობას დღეს სავსებით განსაზღვრული ადგილი უჭირავს თანამედროვე სამეცნიერო იურიდიულ და პედაგოგიურ ტერმინოლოგიაში, ისევე როგორც ტერმინებს „პროფესიონალიზმი“ და კომპეტენტურობა“. ვფიქრობთ, რომ ამ კატეგორიას უახლოეს მომავალში დაემატება ისეთი ტერმინი, როგორც არის „სამეწარმეო უნარი“.

სპორტის სპეციალისტთა კონკურენტუნარიანობა შეიძლება განვსაზღვროთ შესაბამისი იურიდიული ჩარჩოს ფარგლებში, მომსახურებისა და საქონლის საერთო ეკონომიკური ცნების მეშვეობით. ეს გამართლებულიცაა, ვინაიდან შრომის ბაზარზე სპორტული პროფილის უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების კურსდამთავრებულები, დადგენილი პროცედურების ფარგლებში, აკეთებენ „შეთავაზებას“, ოფერტას და წარმოადგენენ პროფესიული უნარების, ცოდნის, ჩვევების „გამყიდველებს“. ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან სამუშაო ადგილების ძიების პროცესში და წარმატების მისაღწევად საჭიროებენ გარკვეულ კონკურენტულ უპირატესობებს.

შრომის ბაზარზე სპორტის სპეციალისტის კონკურენტუნარიანობის მოტივაციურ-ნებელობითი შეფასების მნიშვნელოვან პარამეტრებს (კონტექსტური სასწავლო-თეორიული, სასწავლო-პრაქტიკული, პრაქტიკული, სოციალური, პროფესიული ამოცანების გადაჭრის დროს) წარმოადგენს: 1)საქმიანობაში ინიციატივის გამოჩენის და აქტივობის ხარისხი; 2)საკუთარ მოქმედებებზე (შედეგებთან მიმართებაში) პასუხისმგებლობის ხარისხი; 3)საქმიანობის შედეგებით დაინტერესება.

შეიძლება ვამტკიცოდ, რომ სპორტის სპეციალისტის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს ინტეგრირებულ მახასიათებელს, რომელიც უზრუნველყოფს მის მაღალ პროფესიულ სტატუსს, შრომის შესაბამის დარგობრივ ბაზარზე უფრო მაღალ რეიტინგულ პოზიციას, მაღალ და დროში სტაბილურ მოთხოვნას მის მომსახურებაზე. იგი განისაზღვრება სპორტის სპეციალისტის როგორც პიროვნული, ისე პროფესიული თვისებებით და პროფესიული საქმიანობის ხარისხით. სპორტის სპეციალისტის, - როგორც სოციუმის წევრის და როგორც პროფესიონალის, - კონკურენტუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს სამართლებრივი ცოდნა, მისი კომპეტენტურობა და სამეწარმეო უნარი.

კომპეტენტურობის ცნება გამოიყენება მართვის, ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის სფეროში პროფესიონალიზმის ანალიზის დროს. სპორტის სპეციალისტის კომპეტენტურობა სპეციალური უნარებია, რაც აუცილებელია სპორტის კონკრეტულ დარგობრივ სფეროში კონკრეტული მოქმედებების განსახორციელებლად. იგი მოიცავს ვიწრო, სპეციალურ ცოდნას, განსაკუთრებულ საგნობრივ უნარებს, აზროვნების ხერხებს, აგრეთვე პასუხისმგებლობის გაცნობიერებას საკუთარი მოქმედებების გამო. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპორტის სპეციალისტის კომპეტენტურობის შეფასება და ანალიზი შესაძლებელია ორი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით: 1)შესაბამისი კომპეტენციების მეშვეობით, რომელთა შინაარსი ამ შემთხვევაში სტრუქტურულ-შინაარსობრივი ფორმით უნდა იქნეს წარმოდგენილი ცოდნის, უნარების, ჩვევების, გამოცდილების და ა.შ. სახით (ამგვარად შეგვიძლია წარმოვადგინოთ პროფესიული კომპეტენტურობა); 2)პირდაპირი წესით - შესაბამისი ცოდნის, უნარების, ნიჭიერების და ა.შ., ტერმინის „კომპეტენცია“ გამოყენების გარეშე.

ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს პრაქტიკა („ჭეშმარიტების კრიტერიუმი“) - მოქმედებითი ხასიათის კრიტერიუმი წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ კომპეტენტურობა განსაზღვრავს პიროვნების უნარს, რომ იმოქმედოს სასწავლო პირობების

ფარგლებს გარეთ, გადაიტანოს ცოდნა და უნარები მათი პრაქტიკული გამოყენების მიზნით, სპორტის სპეციალისტის მომზადების საგანმანათლებლო პროცესში მიზანშეწონილია, რომ გამოვეყნოთ კომპეტენტურობის განვითარების შემდეგი ეტაპები: 1)სასწავლო-თეორიული ეტაპი, რომელიც მიმართულია სტუდენტთა ინტელექტუალური (თეორიული ხასიათის) უნარების და ჩვევების ფორმირებაზე, რომ მათ შემდგომ სასწავლო პროცესში თეორიული ამოცანების ამოხსნა. მოცემულ ეტაპზე კომპეტენტურობის ძირითად საშუალებას წარმოადგენს სივრცით-პრობლემური, მათ შორის იურიდიული და ეკონომიკური ხასიათის ამოცანები; 2)სასწავლო-პრაქტიკული ეტაპი, რომელიც უკავშირდება სტუდენტთა ჩვევებს, ქცევით ფორმებს, რომ მათ შემდგომ გამოიყენონ ცოდნა და გამოავლინონ უნარები საქმიან სიმულაციებსა და ურთიერთობებში, აგრეთვე დამოუკიდებლად შემდგომ სოციალური / პროფესიული პრობლემების გადაჭრის უნარების პროექტირება შესაბამისი პროექტების შემუშავების გზით; 3)პრაქტიკული ეტაპი, რომელიც მიმართულია ფორმირებული ცოდნის და უნარების უშუალო გამოყენებასთან რეალური სოციალური ურთიერთქმედების პროფესიული საქმიანობის პირობებში.

ამჟამად, საქართველოს სპორტული პროფილის უნივერსიტეტები და ფაკულტეტები ამზადებენ სპეციალისტებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიმართულებით, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებად და მწვრთნელებად. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული სასწავლო დაწესებულებები არ ამზადებენ ბაზარზე მოთხოვნად სპეციალისტებს ისეთ პროფესიებში, როგორცაა სპორტის სამართლის სპეციალისტი, სპორტის მენეჯერი, სასპორტო ღონისძიებათა ორგანიზატორი და სხვ. ამიტომ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტების პროფესიული კომპეტენტურობის შინაარსის გამოვლენისას უნდა გავითვალისწინოთ მათი პროფესიული საქმიანობის ორივე ასპექტი, რაც, ჩემი აზრით, პირობითად შეიძლება დავაჯგუფოთ: პედაგოგიურ ჯგუფად (ფიზაღზრდის მასწავლებელი და მწვრთნელი) და საქმიანობა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული არ არის საბაზისო სპორტული განათლების სისტემასთან (იურიდიული, ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი საქმიანობა).

ფიზკულტურულ-სპორტული პედაგოგიური კადრების შემადგენლობა ხარისხობრივი ნიშნით არ არის ერთგვაროვანი. სპორტის პედაგოგთა რიცხვს მიეკუთვნებიან ფიზაღზრდის მასწავლებლები და სპორტის სახეობის მწვრთნელები. მათი პედაგოგიური საქმიანობის მიზნობრივი მიმართულება, პროფესიული ფუნქციების შინაარსი ყველაფერში არ ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან ერთად, სპორტული პროფილის უნივერსიტეტები ხშირად ამზადებენ სპეციალისტებს, რომელთაც აქვთ უფლება, განახორციელონ პედაგოგიური მიმართულების ზემოაღნიშნული ორივე სახე.

პროფესიული მმართველობითი საქმიანობა (ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მმართველი ორგანოს თანამშრომლის როლში) არ განეკუთვნება საქმიანობის ძირითად სახეს, რაც ამჟამად მოქმედებს სპორტული ტიპის უნივერსიტეტებში დადგენილი საგანმანათლებლო სტანდარტით.

ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სასწავლო გეგმიდან და საგანმანათლებლო პროგრამებიდან, რომლებშიც დომინირებს პედაგოგიური სტრუქტურული და შინაარსობრივი კომპონენტები. ამასთან ერთად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში შრომითი საქმიანობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში, სამწუხაროდ, შესაბამისი პროპორციით არ არის წარმოდგენილი იურიდიული, ეკონომიკური და მმართველობითი მახასიათებლები.

სამწუხაროდ, სპორტის საერთაშორისო ბაზარზე სპორტული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები, რომელთა ძირითადი სპეციალობა უკავშირდება მენეჯერული, მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას, მუდმივად აწყდებიან პრობლემას, თუ როგორ გარდაქმნან უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნა ბიზნესში, რომ მიაღწიონ წარმატებულ კარიერას და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სპორტულ უნივერსიტეტებში დებატების საგანს წარმოადგენს ის, თუ რით განსხვავდება მეწარმეობა ბიზნესის დაწყებისაგან? მეწარმეობა თავად მეცნიერებაა თუ ეკონომიკის ერთ-ერთი ცნება? ბრიტანელი ეკონომისტის ჯ.მ.კეინსის აზრით: „ეკონომიკა უფრო მეთოდია, ვიდრე დოქტრინა, გონების აპარატი, აზროვნების ტექნიკა, რომელიც სწორი დასკვნების გამოტანაში გვეხმარება“ (ეAI, 1999).

თუ მოვიშველიებთ კლასიკურ განმარტებას: “მეწარმეობა არის უნარი და სურვილი განავითარო, ორგანიზება გაუწიო და მართო ბიზნესი, გასწიო რისკი იმისათვის, რომ მიიღო სარგებელი”. ამის ნათელი მაგალითია სპორტის სფეროში ახალი ბიზნესის დაწყება. ეკონომიკურ მეცნიერებაში მეწარმეობა მოიაზრება, როგორც შესაბამისი რესურსების გამოყენებით მოგების ანუ სარგებლის მიღება. მეწარმეობაში მთავარ საყრდენს წარმოადგენს მეწარმის სულისკვეთება (სპირიტი), რომელიც ხასიათდება ინოვაციურობით და რისკის გაწევით. ეს კი არის ადამიანთა უნარი, რომ წარმატებას მიაღწიონ ცვალებად და მზარდ კონკურენტულ გლობალურ ბაზრებზე.

საქართველოს სინამდვილეში სპორტის სფეროში ბიზნესის დაწყება დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან (მაგალითად, კაპიტალის რისკი, ნორმატიული აქტების სიმრავლე და სპეციფიკური ხასიათი). ასეთი საქმიანობის განხორციელება კი წარმატებით შეუძლიათ სპეციალური იურიდიული და ეკონომიკური ცოდნით აღჭურვილ, სამეწარმეო უნარის მქონე პირებს, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებენ ინიციატივას, ორგანიზებას გაუწევენ რისკიან წამოწყებას, რომ ჰქონდეთ სარგებლის მიღების ალტერნატივა და იღებენ გადაწყვეტილებებს: რა, როგორ და რამდენი საქონელი და მომსახურება აწარმოონ, მონიტორინგს გაუწევენ და გააკონტროლებენ ბიზნეს აქტივობას.

რადგან სპორტის სპეციალისტისათვის მეწარმეობის უნარი ადამიანისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უნარია, ე.ი. მისი შეძენა შესაძლებელია სწავლებით. თუ კითხვის, წერის, ლოგიკური აზროვნების უნარს სწავლებით ვანვითარებთ და ეს უნარები ყველა მეცნიერების სიღრმისეულ შესწავლაში გვეხმარება, ე.ი. შესაძლებელია მეწარმეობის უნარის გამომუშავებაც. ბევრი მეცნიერი ბიზნესის დაწყების ცოდნას აიგივებს მეწარმეობის უნართან. თუმცა, ეს ორი სხვადასხვა რამ არის: ბიზნეს სამართლის

საფუძვლების ცოდნა, ბიზნესის დაწყება, მართვა და გაძღოლის ცოდნა არ არის მეწარმეობა, იგი წარმოადგენს „პროცედურულ“ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ ჯობია მოიქცე ბიზნესის ორგანიზებისას და მართვისას. მეწარმეობა კი ნიშნავს იმას, რომ ჩვეულებრივი რუტინული და მოსაწყენი ბილიკებით კი არ იარო მეურნეობის გაძღოლის დროს, არამედ ინოვაციური და რევოლუციური მიდგომების გამოყენებით რაციონალური გამოსავალი ნახო უკეთესი და უფრო ეფექტიანი წარმოების ხერხებისათვის, ანდა შექმნა ახალი საქონელი და მომსახურება.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სპორტის სფეროში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ხდება შემოქმედებითი დესტრუქციის მამოძრავებელი ძალა. იგი მოქცეულია იურიდიული და ეკონომიკური მეცნიერების ჩარჩოებში. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ მეწარმეობა ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებით ბოძებული უნარია, მისი გაიგივება ინსტინქტთან არ შეიძლება. იგი ჩვევაა, რომლის კორექციაც შესაძლებელია. თუმცა, იბადება კითხვები: როგორ უნდა განუვითაროდ მეწარმეობის უნარი სპორტული პროფილის უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების სტუდენტებს, რომ გავზარდოთ მათი კომპეტენტურობის დონე? მეწარმეობა ცალკე საგნად უნდა ისწავლებოდეს სასწავლო დოსციპლინების მოდულის ფარგლებში, თუ შესაბამისი მეთოდების გამოყენებით ინტეგრირებული სახით, - როგორც ზოგადსაუნივერსიტეტო, ისე სპეციალურ დისციპლინებში მისი ჩართვით, - შესაძლებელი იქნება მეწარმეობის უნარის გამომუშავება?

ცხადია, რომ მხოლოდ და მხოლოდ მეწარმეობის ცოდნა ვერ ჩამოაყალიბებს სპორტის სპეციალისტს კონკურენტუნარიან პროფესიონალად და მეწარმედ, რადგან ინოვაციური იდეა საკმარისი ვერ იქნება მხოლოდ იმისთვის, რომ გახდეს „მეწარმე“, ეს უნდა შეეხებოდეს სპორტის რაიმე კონკრეტულ სფეროს, ინდუსტრიას და მისი ტრანსფერი უნდა მოხდეს ბიზნესში.

მეწარმეობის, როგორც თანდაყოლილი უნარის პროგნოზირება შეუძლებელია. ეს უფრო მეთოდია, ვიდრე პროცესი. ამიტომ მისი სწავლება შესაძლებელია, მაგრამ საკმაოდ რთულია და მოითხოვს უდიდეს პედაგოგიურ ძალისხმევას, რადგან სწავლება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი ოთხი ტექნიკის გამოყენებით: 1) ბიზნესის დაწყებით, 2) სერიოზული თამაშებით და სიმულაციებით, 3) მოდელირებაზე დაფუძნებული სწავლებით და 4) გონებრივი ვარჯიშით. ამასთანავე, აღნიშნულ მეთოდებს სჭირდება სამართლებრივი და ეკონომიკური ცოდნის ინსტრუმენტები, ანუ ცნებების გააზრებული ცოდნა.

მიზანშეწონილია, რომ საქართველოს სპორტული პროფილის უნივერსიტეტებსა და ფაკულტეტებზე სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების პროცესში, სტუდენტთათვის სამეწარმეო უნარების ჩამოყალიბების დროს გაზიარებული იქნეს საერთაშორისო პრაქტიკა. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც ჯუნიორ ეჩივმენტის გამოცდილება, რომელიც 1919 წლიდან ეწევა სამეწარმეო განათლებას მსოფლიოს 121 ქვეყანაში და ყოველწლიურად მის პროგრამებში ჩართულია 7 მილიონამდე ახალგაზრდა. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულია უმნიშვნელოვანესი კვლევები, რომლებშიც ასახულია მეწარმეობის პროგრამების ზეგავლენა სასწავლო

პროცესზე. მათ საფუძველზე დასტურდება ახალგაზრდების კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი, რაც პროგრამის გავლის შემდეგ იზრდება 10-25%-ით. უმეტეს მათგანს აქვს სწავლის გაგრძელების ან საკუთარი ბიზნესის წამოწყების მოტივაცია.

სამწუხაროდ, საქართველოში სპორტის სპეციალისტების, მენეჯერების და მმართველების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხშირ შემთხვევაში, შეიმჩნევა რაციონალური ანალიზისას და ძალაუფლების შეგრძნების კულტურის დეფიციტი, რომელიც გაპირობებულია სამეწარმეო უნარების დაბალი დონით. კერძოდ, მათ უჭირთ: ოპტიმალური ალტერნატიული გზების განსაზღვრა; იმის რაციონალური ანალიზი, თუ დღეს მიღებულ ზედმეტ სარგებელს რა დამანგრეველი შედეგი შეუძლია მიაყენოს საზოგადოებას; საკუთარი მიზნების მისაღწევად გრძელვადიანი სტრატეგიული გზების ძიება და დაგეგმვა და ა. შ.

სამეწარმეო სამართლის საფუძვლების შესწავლა და მეწარმეობის, როგორც სწავლების მეთოდის გამოყენება და მისი დანერგვა სპორტულ საგანმანათლებლო სტრუქტურებში, მოგვცემს მყისიერ, მნიშვნელოვან შედეგებს, როგორც სპორტული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობის თვალსაზრისით, ისე ახალი ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების განვითარებით, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მდგრად განვითარებაში.

ლიტერატურა

1. Klijs J., Heijman W., Maris D.K., Bryon J. Criteria for comparing economic impact. *Tourism Economics*, 18 (6) , 1175–1202.
2. JAI. Fundamentals Of Market Economics. Atlanta: JA International. (1999).
3. Kemp R. L. Economic Development In local Governmet. Jefferson, McFarland & Company, inc., Publishers. 1995.
4. ROBBINS, L. *THE THEORY OF ECONOMIC DEVELOPMENT*. London and Basingstoke. MACMILLAN AND CO LTD. 1968.
5. Schumpeter J. *CAPITALISM, SOCIALISM AND DEMOCRACY* . New York: Taylor & Francis e-Library. 1976
6. Soubbotina T.P., Sheram K.A. Beyond Economic Growth, Meeting the challenges of Global Development. Washington, D.C. 20433, U.S.A. The International Bank for Reconstruction / THE WORLD BANK, 2000.
7. Gegeshidze E., Chiabrishvili N., Chiabrishvili T. *Samoqalaqo Ekonomika*. Tbilisi, JA Georgia, 2007.
8. ჭილაძე გ.ბ. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის, სპორტის და სპორტული განათლების მართვის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ / ქუთაისი, 2014 წლის 5-6 ივლისი, გვ. 481 – 484.
9. ჭილაძე გ.ბ. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის და სპორტული განათლების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ / ქუთაისი, 2014 წლის 5-6 ივლისი, გვ. 118 – 121
10. Деревнина А.Ю., Проектирование миссии университета // Высшее образование. - 2008. №3. с. 117

11. ჭილაძე გ.ბ. სტუდენტური სპორტი და საუნივერსიტეტო განათლება // GESJ: Education Science and Psychology 2011 | No.2(19), pp.105-109
12. Чиладзе Г.Б. Некоторые правовые аспекты спортивного образования в Грузии // Московская государственная юридическая академия им. О.Е. Кутафина; 5-ая международная научно-практическая конференция «СПОРТИВНОЕ ПРАВО: ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ» М., 30 мая, 2011, с. 176-178
13. <https://www.juniorachievement.org/web/ja-usa/evaluation-results>

Article received: 2014-13-03